



„ღმერთო,
სამშობლო მდცოცხლე,
მძინარეც
შშშ ვღუღუნებ!“

კავკასია

პროზული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (37-38) თბილისი 2010 წელი შპს 1 ლარი

ს ე ვ ი



ირაკლი სუჯაშვილის ფოტონამუშევრები

იქა ჯაჭია: კუსსიანი

გვ. 2



ნონა სუჯაშვილი:

ვის ბიზნესს რეპირავს ღარსის საბავთოს მასსნა...

გვ. 4-5

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით გაზეთ „კავკასიის“ ლაურეატის წოდება მიენიჭა:

- მეცნიერსა და პოეტს ივანე ფიკლაშურს (ჯურხათ ივანეს) უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი მიძღვნილი ლექსისათვის: „მარიამობა მზიანობს“ (გაზეთი „კავკასია“, №35-36, 2009 წელი),
- თვალსაჩინო პოეტსა და პუბლიცისტს – კობა არაბულს – წერილებისათვის: „დეპრესიული დრო ფხოვისთვის“ (გაზეთი „კავკასია“, №35-36, 2009 წელი) და „სამასი არაგველის სახელებსა და გვარებს საფარველი დაეღო თვით უფლის მიერ“ (გაზეთი „კავკასია“, №37-38, 2010 წელი),
- ჩინებულ მოხევეს და საზოგადო მოღვაწეს – რეზო კობიაშვილს წერილისათვის: „ჩემი ხევის გადარჩენამო“ (გაზეთი „კავკასია“, №35-36, 2009 წელი).

კობა არაბული: სამასი არაბულის სახელებსა და გვარებს საფარველი დაეღო თვით უფლის მიერ

გვ. 6

მიყვარხარ, მთაო, ტილო...

ახლანდელ მოვინახულე ახმეტისა და თელავის რაიონების მოსახლეობა, კარგა ხანია აქაურ მეცხვარეებს აღარ შევხვედრივარ და მაინტერესებდა მათი დღევანდელი საქმიანობა — მეცხვარეობა.

ალბათ ბევრმა იცის, რომ თუშების ძირითადი პროფესია მეცხვარეობაა, რომელშიც ისინი შეიღებულნი იყვნენ და სექსუალურ-ბისათვის წვრთნიდნენ. მინდა ისიც ვთქვა, რომ მეცხოველეობის ეს დარგი ერთობ რთულია. ისინი მუდმივად მომთაბარე ცხოვრებას მისდევენ. ზამთრობით ცხვარს შირაქში აზამთრებენ, ხოლო გაზაფხულიდან დაწყებული სტორის ულამაზესი და ვიწრო ხეობით „მილადავენ“ თუშეთში.

კარგა ხანია თუშების საქმიანობაზე არაფერი დამიწერია და ზოგიერთები კიდევ მეძღურობდნენ, ჩვენ დაგვაწვიდითო: აქაური მოსახლეობიდან შევიტყვე, რომ მეცხვარეობას ცოტანდა მისდევენ. ბევრმა ათასობით სული ცხვარი გასამრავლებლად არაბებს მიჰყიდა და თანაც თურმე ისეთი გაკვირვებულები დარჩენილან ეს უცხოელები ჩვენი ისტორიული ჯიშის ცხვრის ზორცის დაგემოვნებით, რომ ასეთი გემრიელი ხორცი არასდროს გაგვისინჯავსო.

სტუმრად ვარ სოფელ ლალისყურში, სადაც კახელებთან ერთად თუშებიც ცხოვრობენ: **ჯვრტიბები, ირუაიბები, ხარბიბები, ბუქაიბები, ფიცხელაურები, სენიაიბები, ღულაღაურები** და ვინ აღარ. ამ ლამაზ ისტორიულ სოფელში, რომელსაც თამარ მეფემ ლალისყური უწოდა, ბევრი მეცხვარე მგულებ



თუშეთი, სოფელი ხანახანი

სეიფუნას პაპები თუშეთში ცხოვრობდნენ, პაპა-საბა ბიჭურთაში, ივანე პაპა-ვერხოვანში. ორივენი გომეწრის ხეობიდან იყვნენ. მამის ოჯახში შვიდი და-ძმა იყო, დედის ოჯახში ექვსი.

სეიფუნა ლულელაურის მშობლებს ხუთი შვილი შეეძინათ. სამი შვილი მცირეწლოვნები დაიღუპნენ. ორი და-ძმაღა დარჩა. მათი ოჯახი ბარში-ლალისყურში ჩამოსახლდა და იმ სა-

ჩამოგართვით და ლალისყურის მუხრანობას უნდა გადაეცეთო. ყარაულად 5 მილიციონერი დაგვიყენეს. ჩვენი საკუთარი ცხვარი ღამით გაგაპარეთ ლარსის საზღვრიდან და ინგუშეთის გავლით გადავდით არხოტის ხეობაში. იქ გამოვიზამთრეთ.

თუშებმა დასაბამიდანვე ბევრი უბედურება გადაიტანეს. რამდენჯერ გაუნადგურდათ ცხვარი, ბანკებში შეტანილი თანხები, ისევე

ფშაველ-ხევსურები, მთიულ-გუდამაყრელები, მოხვევები, სვანები, მთავრობის ყურადღების მიღმა ვრჩებით!

ღიას, ჩვენ მთავრობის ყურადღების მიღმა ვართ დარჩენილები, არადა მთამ გადაარჩინა საქართველო დალუპვას, მთა კვებავდა და დღესაც მთა კვებავს სხვადასხვა საშუალებებით..

P.S.

სწორედ აქაური მოსახლეობისგან შევიტყვეთ, რომ არაბებს იმდენად მოუწონათ თუშური ცხვრის ზორცი, რომ გასამრავლებლად დიდი რაოდენობით იყიდეს ცხვრის ფარები, რომელიც ბოლო ხანებში ძალზე შემცირდა და მისი ნაწარმიც ქართულ ბაზარზე ძალიან გაძვირდა. ბევრმა თუშმა ამ ძირბველ საქმიანობას ზურგი შეაქცია. ბაზრებში მათ მიერ გასაყიდად დახვადებული განთქმული თუშური ყველი, ხაჭო, ცხვრის კალტი, მატყლი, დეფიცური გახდა და ისიც თუ არის — მამასისხლად იყიდება.

წარსულს ჩაბარდა ძველი სიკეთე. ახლა ბევრი თუშური ოჯახი საოჯახო ტურისტული ბიზნისით არის დაკავებული და ეს მძიმე, მაგრამ საოცრად მნიშვნელოვანი პროფესია ბევრს აღარ იზიდავს, თუმცა, რატომ უცხოელებმა და არა ჩვენმა ძირბველი კუთხის შვილებმა, რატომ არ უნდა ისარგებლონ ასეთი სიკეთითაც.

უმთავრესი სათქმელი ის არის, რომ დიდი რაოდენობით ცხვარს ყიდულობენ არაბები, მკვეთრად მცირდება ეს ჯიშში, ზოგიერთებმა შეწყვეტეს ცხვრის წველა და გუდის ყველის კეთება. ზემოთაც ითქვა, რომ საქართველოში თანდათან დეფიცური ხდება თუშური ცხვრის ზორცი, მატყლი, მისი ნაწარმი და მსოფლიო სუფრის მშენებელი — გუდის ყველი-სწორედ ეს არის მეტად საგადაღწევი..

სულ რამდენიმე წელია თუშეთისა თუ შირაქის ტერიტორიები, მისი ლანდშაფტებისა და ტურისტული ბაზების მშენებლობის ადგილებად იქცა. დღეს ისინი ძირითადად ამჟამინდელი მთავრობის და სახელმწიფო ჩინოვნიკების საკუთრებაა.

ჩვენმა ბევრმა კორუმპირებულმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა და თანამდებობის პირმა, რომელთაც ანგარებით მოიკალათეს ხელისუფლებაში: ზოგმა პარლამენტში, ზოგმა სამინისტროში, ზოგმა უშიშროებაში, ზოგმა

ქუსსუნანი



სეიფუნა ღულაღაური შვილიშვილიან

ბოლა, თუმცა ბოლო ხანებში მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ზოგიერთებმა თავი მიანებეს მეცხვარის ურთულეს და საეკონომიკურ საქმეს. მათი ოჯახის შვილები, სკოლაში სწავლის პარალელურად, ზაფხულის არდადეგებზე მამა-პაპათა გვერდით მწყემსავდნენ ცხვარ-ძროხას.

ამჯერად სეიფუნა ლულელაურის სტუმართმოყვარე ოჯახში ვარ, რომელმაც ფშაველის საშუალო სკოლა დაამთავრა და „ბალღობი-დანვე“ მეცხვარეობით იყო დაკავებული. მათ ოჯახს მამა-პაპათაგან მოსდევდა ეს პროფესია. სეიფუნას მამა — **ვასილი** და პაპა — **საბა**ც მეცხვარეები ყოფილან. დედამისი, კი კატო თელაურიძე თუშური მატყლის დამუშავებისა და ქსოვის ჩინებული ოსტატი. დედამისის ოჯახიც მესაქონლეობას მისდევდა. იშვიათი იყო თუშების ოჯახი, რომ მეცხვარე არა მყოფოდა.

— კარგი მამა-პაპეული მყავდა, დედულები-

მოსახლოში ახლაც ცხოვრობენ, რომელიც თავად პატრიო ჩოლოყაშვილს უბოძებია.

სეიფუნა ლულელაურმა პირმშენიერი ქალიშვილი, დესპინე ბელაძიძე თუშეთში, სოფელ დიკლოში რომ გაიცნო, მალე დაოჯახდნენ. ოთხი შვილი შეეძინათ: ერთი ვაჟი, **ვასილი** თავადაც მეცხვარე და სამი ქალიშვილი — **ეკა, ანა, ნატო**. ყველა დაოჯახებულია. ამ ჯანმრავარი მეცხვარის ოჯახში ექვსი შვილიშვილი ხარობს.

სეიფუნამ სკოლა რომ დაამთავრა, უყოყმანოდ წავიდა ცხვარში, მას აქეთ მეცხვარეობით არის დაკავებული. ხან ყიზლარის ზამთრის საძოვრებზეა, ის, ხან — შირაქში. წლეულსაც იქ აზამთრებს ცხვარს.

როცა საბჭოთა მუხრანობები არსებობდა, სამი ათასამდე ცხვარს უვლიდა. მაშინ, როცა აკრძალული იყო კერძო ცხვრის ყოლა, ხელისშემშლელიც ჰყავდა და მალულად ინახავდნენ საკუთარ მონაგარს. ახლა მხოლოდ

მოაშენეს. ათაპაპიდან დღემდე რამდენი უბედურება, უგზობა, ზეგვი და წინააღმდეგობა გადალახეს. მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, ზამთარ-ზაფხულს თეოზე ათენ-ალამბებდნენ. დღეისათვის, ცხვარში ყოფნა ძველ დროსთან შედარებით მხელი არ არის, თხრობას განაგრძობს მამაცი მეცხვარე. გზები არის, მანქანით გადავად-გადმოვდივართ, პრობლემა გვაქვს საძოვრების მხრიდან. ეს ადგილები და საძოვრები კერძო საკუთრებაში, ისეთმა ხალხმა მიითვისა, რომელთათვისაც არ იყო მამა-პაპური. ასევე, სრულიად უცხო პირებმა შეისყიდეს და ჩვენ მხოლოდ ძვირად ვკვირდებით, სამ-ოთხჯერ მეტ თანხას გვახდევინებენ. ამ მხრივ ვემდურებით ცენტრალურ ხელისუფლებას, ვისაც ცხვარი გვეყავს შირაქის ზამთრის საძოვრებზე,



სეიფუნა (შუაში) ახლობლებთან ერთად

ჩვენ მდგომრად ვითვლებით ჩვენს საცხვრის მწყემსის ბინებში და გადასახადებით კერძო მე-საკუთრე „გავახრობს“. არ მოგვცეს საშუალება, ჩვენვე შეგვეყიდა ეს ადგილები და სოფლისა თუ ქალაქის ბობოხები გვეცილებიან.

მეორე პრობლემა ჩვენი ნაწარმის მატყლის დამზადება-რეალიზაციის საკითხია. აქედან ჩვენი მატყლი აზერბაიჯანელებს იაფად გააქვთ, რითაც ძვირადღირებულ ხალიჩებს ქსოვენ და სხვადასხვა ნაწარმს. რატომ არ შეიძლება, ჩვენი მატყლი აქვე დამუშავდეს, შეიქმნას მატყლის დამამზადებელი პუნქტები, თუ საწარმოები და ჩვენივე ხელმოკლე მოქალაქეები ეკონომიკურად გაძლიერდნენ. ეს ხომ ცოტათი მაინც შეაჩერებდა მიგრაციას საზოგადოებაზე, უცხო ქვეყნებში ჩვენი მოქალაქეების გადახვეწას?

მესამე პრობლემა ის არის, რომ ცხვრის გადარეკვისას თითქმის აღარ არსებობს ტრასები, რომ ცხვარმა მოძოვოს. კახეთის რეგიონს ეხება. ნებით თუ უნებლიედ, ქუჩისპირა ადგილები სულ შემოუღობავთ და გასაქანი აღარ აქვს ცხვრის ფარას.

და საერთოდ, მთიელები — თუშები,

გამგებობაში და სხვა, ისარგებლეს ამ მდგომარეობით და ფულს დახარბებულმა, ტრადიცია მიმდევარ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ხელმოცარულ მოქალაქეებს, ამ შემთხვევაში კი მეცხვარეებს, წავლიყვეს საძოვრები მთასა თუ შირაქში და უმძიმეს პირობებში ჩაყარეს ზამთარ-ზაფხულ მისუფარნი.

ამაზე უნდა იფიქროს დღევანდელმა ხელისუფლებამ, არ უნდა გაქვინ ქვეყანაში განთქმული თუშური ჯიშის ცხვარი და მისი განსაცვიფრებლად საამაყო უგემრიელესი ნაწარმი..

მელისმუხლა და შუბლნათელი მეცხვარეები, ჩემი საყვარელი უფროსი დის — რანდის თანაკლასელი — **სმიფუნა ღულაღაური**, კიდევ ერთხელ გაუბეღით ამ მძიმე მდგომარეობას. მართალია, მთავრობასა და სამინისტროებს არ აინტერესებს და მეცხვარეობაზე წარმოადგენა არა აქვს, მაინც არ მიატოვოთ, არ მოშალოთ უმდიდრესი ტრადიციები, მოვა ახალი მთავრობა და მზე თქვენთვისაც გამოანათებს!

დანაც და მამულებიდანაც. მესახლე-ბოლა კიდევ, მათი შვილიშვილი რომ ვიყავი. ნეტავ მეც მათ დაემსგავსებოდითო, მითხრა სეიფუნამ.

ათას-ათასნოვასამდე ცხვარს უვლის. ერთი დროც იყო და, ამბობს სეიფუნა, მდინარე თერგის ხეობიდან თუშეთში მივერეკებოდით ცხვარს, მილიციამ შეგვაჩერა, და გვითხრა: კერძო საკუთრების ცხვარი უნდა

იზა ჯაჭვამი

ეჩნო-თიანეთის ოვანდროსიერი მემკვიდრე



ისტორიკოსი და მწერალი თენგიზ პატურაშვილი 2008 წლის აგვისტოში გაიცნა, ავტობიოგრაფიის დღეებში, როცა რუსეთის აგრესია დაიწყო და გორში ბომბები ჩამოვარდა. ამ დროს თიანეთში ჩემს ნათესავთან ნორა ომიანიძე-გორგენაძის ოჯახში ვისვენებდი. შემფოტოებულს და მოხერხებულად კარგულს არ ვიცოდი რა უნდა მეკეთებინა. შევიტყვე, რომ ბატონი თენგიზ პატურაშვილი, რომელმაც თიანეთის და თიანეთელების ისტორია კარგად იცოდა, მხედ იმყოფებოდა და ჩვეული ენერგიით

მუშაობდა. ღვაწლმოსილ ადამიანს სახლში ვეწვიე და მის ლამაზ ეზოში სახელდახელოდ გაშლილ მაგიდასთან კარგა ხანს ვისაუბრეთ. არასოდეს დამავიწყდება ეს საღამო. მასპინძელმა საკუთარი წიგნები მაჩუქა და ჩვენი კვლავ შეხვედრის იმედი გამოთქვა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თენგიზ პატურაშვილის შემოქმედება ერთგვარი „მატიანეა“ ერწო-თიანეთის ისტორიისა, ისტორიისა, რომლის შესწავლასაც ავტორმა მრავალი წელი შეაღწა. პირველი წიგნი „ერწო თიანეთის ისტორიიდან“, 1996 წლით არის დათარიღებული. ავტორისეულ მინაწერში ვკითხულობთ, რომ მის გამოცემაში დიდი დახმარება გაუწევიათ ელბერდ მიღელაურს, დიდა ყურაშვილს, ვაჟა აბრამიშვილს, იოსებ ზაქაძეს და სხვებს, რომელთაც ის მადლობას უხდის.

მე არ შეუდგებია ამ წიგნების შინაარსის ვრცელ მიმოხილვას, რადგან საკმაოდ დატვირთულია, მაგრამ საკმარისია რამდენიმე თემა დავასახელო, რომ ცხადი გახდება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ნაშრომი შესანიშნავი კუთხის – თიანეთის მისი წარსულისა და დღევანდლობის შესახებ. მაგალითად, სახელწოდება

თიანეთი, უალღობო და მისი მკვიდრნი, ერწო-თიანეთი, კახეთის ფეოდალთა საბატონო, სოფლები სიონი, დაბა თიანეთი, ასი წლის წინათ და სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაიყვანდა. როგორც ჩანს ეს საკითხები ავტორს ადრე ცალკეული წერილების სახით ჰქონდა გამოქვეყნებული და წინამდებარე წიგნში ისინი ერთად არის წარმოდგენილი. მე შეგნებულად არ ვისაუბრებ იმაზე, თუ მეცნიერულად რამდენად ზუსტად და ამომწურავად არის გააზრებული საკითხების წრე (რადგან ეს ცალკე კვლევის საგანია), მაგრამ თითოეული რომ საინტერესოა, ხშირ შემთხვევაში სრულიად ახალი მასალებით გაჯერებული, ეს ფაქტია. ბატონი თენგიზი ღრმად ფლობს ერწო-თიანეთის მხარის ისტორიას, გეოგრაფიას, ტოპონიმიკას. მაქსიმალურად ცდილობს მკითხველამდე მიიტანოს ყველაფერი ის, რაც იცის და ამას აკეთებს საოცარი სიფხარულითა და მონდობით.

ძალზე საინტერესოა თენგიზ პატურაშვილის დასახელებული წიგნის მეორე ნაწილი (1998 წ.), რომელშიაც ეთნიკური ისტორიის, კერძოდ, ფშავ-ხევსურთა წარსული და განსახლების სურათია ნაჩვენები.

წიგნის წინასიტყვაობაში გვიცხადებენ უზი სწორად შენიშნავს, რომ ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ყველას, ვინც ამ კუთხის ისტორიით არის დაინტერესებული. იგივე, ითქმის ავტორის მესამე წიგნზე, ისტორიული კახეთი, რომლის პირველი ტომი 2005 წელს გამოცა. აქ ივრის ხეობის ზემო წელზეა საუბარი.

თენგიზ პატურაშვილის შემოქმედება დღესაც გრძელდება. იღვწის და იწვის. საინტერესო მოსაუბრეა, საინტერესო მეგზური. თავის კაბინეტში მოწყობილი აქვს მის მიერ შექმნილი ხელგარჯილობის (ხეზე კვების) ნიმუშების გამოფენა, რომელმაც ძველ სურათთან ერთად ჩემზე სასამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. გამოშვებულბისას ბატონმა თენგიზმა მთხვევა გაეცნობოდი მის ნაშრომებს და აზრი გამოთქვა. ასევე მთხვევა მერყენებინა ეს წიგნები თინორაფ რ. თოფჩიშვილისთვის და სხვა მეცნიერთათვის, მაგრამ ეს პირობა დღემდე ვერ შევასრულე სხვადასხვა მიზეზებს გამო, მაქვს სურვილი, ეს უფრო უკეთიფიციალურ დონეზე შეველო, მინდა წინადადებით მივმართო თიანეთის

ხელმძღვანელობას, რათა მოეწყოს შეხვედრა ამ კუთხის ღვაწლმოსილ ადამიანთან, მათ შორის პატურაშვილთან, იმედი მაქვს მხარდაჭერისა და თანადგომისა. მანამდე კი მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ბატონ თენგიზს იმისათვის, რაც მან გააკეთა და ვუსურვო ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები.

გიორგი გომირიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანაშრომელი.

გააღოთ!..

„სამი დეტალებივე საუნჯე დაგვჩნა ჩვენ მამა-პაპათავან: „მაშუ-ლი, ენა და სარწმუნოება“ – წერდა ილია ჭავჭავაძე და ამ დეტალებზე საუნჯეთა სიფხარულს, მის მოვლასა და მისთვის თავდადებას ჩააგონებს მასწავლებელი მომავალ თაობებს (რამეთუ „რა ენა წაჩხდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“). პედაგოგთა მიერ აღზრდილ მათულიშვილთა მადლით და მარჯვენით მრავალჯერ აღმდგარა მამული ჩვენი და დღესაც ამაყად დგას, ვი-

თარცა სიკეთის კუნძული სისხლისა და უკეთურების ოკეანეში, ვითარცა ოცნება – გუმბათთა ქვეშ და ლოცვა – მიმართული მერმისისაკენ.“
მერმისისაკენ მიმართულ ლოცვად დგანან თიანეთი პედაგოგებიც. ზრდიან მომავალ თაობებს და გადასცემენ ცოდნას, საუკუნეების განმავლობაში მთის საგანძურში დაგროვილს, ინტელექტს უხვად რომ უბოძებია მათთვის არსთა გამრიგეს და ამიტომ უკვე აღარავის უკვირს მათი აღსაზრდელების წარმატებები ეროვნულ გამოცდებსა თუ საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. ამ წარმატებების მიღწევაში

დიდი წვლილი შეაქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. მათი ძალისხმევით მიმდინარეობს სკოლის შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და სასკოლო ინვენტარით აღჭურვა, წარმატებული მოსწავლეებისა და პედაგოგების დაჯილდოება-წახალისება.
სხვებთან ერთად 1-ლი საჯარო სკოლაც განიცდის სასიკეთო ცვლილებებს. XX ს-ის 30-იან წლებში აგებულ I კორპუსსა და 70-იანში აგებულ II კორპუსს დიდი ხანია ესაჭიროება კაბიტალური შეკეთ-

ება. თიანეთის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა I სართულზე წლების განმავლობაში დაკეტილი 4 საკლასო ოთახი, წლებულს ორჯერ კორპუსში უკვე დაგეგმილია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება, სამომავლოდ კი გადაწყვეტილია სკოლის სრული რეაბილიტაცია.
ყოველივე ეს კი აუცილებლად ასახვას პოუვს სკოლის ნაყოფიერ მუშაობასა და შემდგომ წარმატებებზე.
სიახლეების მოლოდინთან ერთად, მსურს მადლობა გადავუხადო

განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და თიანეთის რაიონის გამგეობას, სიკეთე და ბედნიერება ვუსურვოთ, დავდგეთ მხადამხარ და მუხლმოდრეკით შევავედროთ უფალს ჩვენი სამშობლოს გამთლიანება, მშვიდობა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!..
გმადლობთ!..
ნათელა კოჭლამაზაშვილი
თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის 1-ლი საჯარო სკოლის დირექტორი.

თვალს მოსწონს, გულს უხარია!..

თიანეთის რაიონის კულტურის სახლში რაიონის გამგეობამ გამართა შეხვედრა აქაურ მოსახლეობასთან წლის განმავლობაში მუშაობის შესახებ, რომელსაც ესწრებოდა ამავე რაიონის პარლამენტარი **ზაზა მადურაშვილი**, მცხეთა თიანეთის მხარის გუბერნატორი **ცეზარ ჩოჩელი** და სტუმრები.
ერთი წლის განმავლობაში უამრავი და არნახული რამ გაკეთდა კულტურის, მთელი რიგი სკოლების რემონტისათვის, გზების მოსაპირკეთებლად, სანიაღვრე წყლების არხების რეაბილიტაციისათვის, სოფელ სიონში კორტების, სოფელ ყუბოტაში მინისტრაციონის გასაკეთებლად, რომელი ერთი ჩამოთვალაო.
ეს რეალობაა, ამ მთავორიან და ბუნებრივი სილამაზით შემკულ კუთხეს, არასოდეს ღირსება ასეთი ყურადღება და მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება.
ყოველივე ამას ხელმძღვანელობს თიანეთის რაიონის გამგებელი **გიორგი აბაშვილი**. როგორც აქარი კულტურის განყოფილების გამგემ ლალი ივანაურმა აღნიშნა, მის წინამორბედ გამგებლებს იმდენი მუშაობის სტაჟი აქვთ, რაც წლოვანება გიორგი აბაშვილის (იგი 35 წლისაა). რაც ამ ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა, მთელი რიგი წლების განმავლობაში არ გაკეთებულაო. მადლობა გამოთქვა ბატონ ცეზარ ჩოჩელის მიმართ, რომელსაც ამავე ქალბატონმა თიანეთის მუშაკებმა უწოდა. თავად ბატონმა ცეზარმა საუბრისას ერთ-ერთ ფრაზაში თქვა: იმაზე კარგი არაფერია, როცა ვინმეს ეხმარები. ითქვა **თენგიზ ჭოლიკაშვილის** თავდადებულ მუშაობაზე.

მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიღების გაყვანისა, სანიაღვრე არხების გაწმენდისა და კეთილმოწყობის შესახებ. ისაუბრეს ეპიდემიოლოგიის საქმის დაჩქარების, ელექტროენერჯის გამრიცხველიანების და დაბამ რაიმე დიდი საწარმოს აშენებაზე, რათა აქაურებს საშუალო გაუჩნდეს.
ქებით მოისხენეს თიანეთის რაიონის პოლიციის უფროსი **არჩილ ბასილაშვილი**, რომელიც დაუდალავი ენერჯის პატრონია. მან თიანეთში საგრძობლად შეცვალა კრიმინოგენული ვითარება, უკვე მშვიდად სძინავს მოსახლეობას, შემიცირდა ქურდობა – დაყაჩაღება, მოწესრიგდა გზებზე მოძრაობის წესები, რომელიც ბატონი არჩილის დამსახურებაა.
წლებულს გავრძელდება წყლის ქსელების გაყვანა, ქუჩების მოასფალტება, ასევე გავრძელდება თბილისთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, ქუჩის პირებზე ბინების შეკეთება – შელაპაჯება.
კამათში მონაწილეობდნენ რაიონის სკოლის დირექტორები, სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელები და რიგითი მოქალაქეები.
თვალს მოსწონს, გულს უხარია, როცა ამბობენ, თიანეთის ჯანდაცვის სფეროში ცარიელი ხელთი სასწაულებს ახდენენო. აქაურებისთვის საამაფოა, როცა იციან, რომ უნგარო პროფესიონალები ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანია შეუბღალაკი სახელის პიროვნება, უანგარო ექიმი, მრავალმვილიანი და სახელოვანი ცოლშვილის პატრონი თორ ცალუღელაშვილი.
რა უშველის ახალგაზრდების მისობრივ დამაგრებას და დასაქმებას,

– გაიუღერა დარბაზში.
მიწები მაქსიმალურად უნდა დამუშავდეს; ტექნიკის დამატებაც მოხდება, შსამ-ქიმიკატების განაწილებაც. სათესლე მასალა უნდა შემოვიტანოთ და სხვადასხვა პრეპარატები, მიწის დამუშავებთაც შეიძლება ოჯახების რჩენა, თქვა გუბერნატორმა.
დაბა თიანეთი ისეთი მშვენიერი გახდა, კოპწია ქალაქს დაემგავსა. ეს დიდი შრომის შედეგია... თუმცა ვერ კიდევ ბევრი რამ არის მოსავარებული. შარშან სულ პირველად გამართულ თიანეთობას, რომელსაც მერყენაირად ზინკლის ფესტივალი ეწოდა, თავისებური ხარვეზები ახლდა. ალბათ, მომავალში უკეთ გაართმევნ თავს თიანეთში ამ ფესტივალს და უკეთ შეხვედრიან მასპინძლებიცა და სტუმრებიც.
არ დაგელოთ თქვენი განუშეორებელი ტრადიციები და სტუმარ-მასპინძლობის სიხარული ძვირფასო თიანეთელებო!..

მე ასე ვუბასუხებდი: ხელები დაეკაბოთ, სიზარმაცე მოვიშალოთ, არ ვითაკილოთ მიწაზე შრომა, უცხოეთისკენ აღარ გავიხედოთ. ჩვენს სულიერ საგანძურზე მეტი არცერთ ქვეყანას არ აქვს. შამშოდებულ, გაუკაცრიელებულ, მიტოვებულ მიწებს და ველ-მინდვრებს დავეპატრონოთ. ბევრჯერ გვსმენია, მიწაზე დიდი სიმდიდრე არა არის რაღა, ეს მცნება განსაკუთრებით გამოიჩნდა ბოლო ხანებში,
გველანარი მეთოდებით ხდება
ჩვენი მშობლიური ადგილის დღის მიწების მიტაცება.
ჩვენს ნატანჯ-ნაწამებ, ოკუპირებულ, მიწებდატაცებულ, გასაძებულ ადგილებში გელის ზროვებად ზარობენ.
სამშობლო – საქართველოს ესღა უნდა?..



იზა ჯაჭვამი

მინაწერი ყველას გასაგონად!..

განმეორებით მინდა გავახიზანო წინამდებარე წერილში დასმული კითხვა: რა უშველის ახალგაზრდებს მასობრივ დამაგრებას და მასობრივ დასაქმებას? ამას ვეკითხები არა მარტო თიანეთებს, არამედ სრულიად საქართველოს ახალგაზრდებს და უცხოეთში გადახვეწილ თანამემამულეებს!

ვერწოვდიხები გლობალიზაციის პერიოდში თუ გადამთავრდეს გვიწი ჩვენი მიწის გემო, ჩვენ რაღა დავგემართოთ, თორემ უპატრონო ეკლესიისა არ იყოს, ეშმაკები დავეპატრონებინ. და ჩვენც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დავეკარგავთ მიწა-წყალს, წაგლეკავს გლობალიზაცია და დავკარგავთ ყველაზე დიდ განძს – მიწა-წყალს და გენოფონდს!..

ვის ბიზნესს ჩაიჩინოს ღარი და საბაჟოს მახსნა...

(რატომ ეძახის ხალხს ცხეარს, რა კომპრომატებს უქექავს შვილის ნათლიას ნათლიამა და რატომ აქცია ხურგი „რესპუბლიკელებს“ რომან მარსაგიშვილმა)

ეს მართლაც პრობლემური საკითხია, ამ თემსთან დაკავშირებით მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, საკითხი დაგვეყენე უშიშროების საბჭოს სხდომაზეც, სადაც საბჭოს წევრებს მოვასწენე, ადგილობრივი მოსახლეობის დანაბარები და მათი საფუძვლიანი შიში, რომელიც შეიძლება გზის გახსნას მოჰყვეს, გავახსენე ოკუპირებული სამაჩაბლო და ახალგორი. იგივე შეიძლება დატრიალდეს ყაზბეგის რაიონში.

მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ გზით ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ-ჯერობით ვერ ისარგებლებს, მაშინ როგორია მოსალოდნელი საფრთხის დაპაზონი?

საზღვარი ამ ეტაპზე იმუშავებს მხოლოდ სატვირთო რეჟიმში, ის დრო წავიდა, როცა როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მოქალაქეების ნაწილი ამ გზით კონტრაბანდის ეზიდებოდა.

კი მაგრამ რითი ხარ დაზღვეული, რომ სომხეთიდან შემოსული ავტომანქანები კონტრაბანდული ტვირთით, ან სულაც იარაღის გადაზიდვით არ დაკავდებიან?

უნდა დაწესდეს მუდმივი ზედამხედველობა და იმუშაოს მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც გააკონტროლებს ტვირთებს და აღმოფხვრის კონტრაბანდის შემთხვევებს.

მუშავდება თუ არა პარლამენტში რაიმე კანონპროექტი, რომელიც ტვირთმზიდებიდან ამოღებული თანხის გარკვეულ ნაწილს, ადგილობრივი რაიონული ბიუჯეტის სასარგებლოდ წარმართავს?

არა, ვინაიდან ტვირთმზიდები არც რესპუბლიკური და არც რაიონული ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხას არ გადაიხდის.

და ეს თქვენ გამართლებულად მიგაჩნია?

ეს საკითხი დაგვეყენე პარლამენტის წინაშე, მე მათ გავახსენე ძველი საბაჟო და საგადასახადო კოდექსები, რომლის თანახმად, საზღვრის გადაკვეთის დროს, 10 ტონამდე ტვირთის პირობებში, მეტატონე იხდოდა 380 ლარს, 20 ტონამდე 480 ლარს და ზევით 560

ბოლო დროს ავტორებულმა და ავტორირებულმა თემამ ზემო ღარის საბაჟოს გახსნასთან დაკავშირებით, ყაზბეგის რაიონის ადგილობრივი მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ნაწილი ამ გზის გახსნას ეთანხმება, ნაწილი კი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს, თუმცა, ხელისუფლებისგან მიტოვებულნი, არც თუ ისე შორეულ წარსულში, არსობის პურს ვლადიკავკაზიდან მოიპოვებდნენ.

ამ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ყაზბეგის რაიონის მეთორმეტარ დეპუტატს ბ-ნ რომან მარსაგიშვილს:



რიონულ ნაბიჯებს დგამს.

— თქვენ როგორ ნაბიჯებს დგამთ რაიონის საკეთილდღეოდ და რაიონის მოსახლეობის შეხვედრა ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციასთან, შეიძლება თუ არა ჩაეთვალოთ, თქვენთვის პიარკამპანინის ნაწილად?

მე უბრალოდ ღარის საბაჟო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით, ხალხის შიში გამოვხატე. ორგანიზება გავუკეთე შეხვედრას. ხალხის კეთილდღეობა მაინტერესებს, თორემ თუ აგრესიის მოწოდება უნდა რუსეთს ერთი შლაგბაუმი ნამდვილად ვერ დააკავებს.

— მაგრამ მე ვიცი, რომ ამ აქციით მომაგულ

თამაში კი სხვა რამეა. ისე კი, ჩვენ ბევრ რამეში არ ჩაგვახდებენ, მაგრამ იზოლაციაში ხალხის ყოფნა გამართლებული არ არის. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მეზობელ ქვეყნებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, რითაც შეგვიძლია და ისინიც გადღეამენ ჩვენს სასიკეთოდ ინტერესებს. მე ვიცი ვე ჭორები საიდანაც ვრცელდება, გზის გახსნა გამგებელს ხელს არ აძლევს. იქ არაფერია დასამალი, სხვათაშორის ბატონმა ჯონდი ბლათურამ აღნიშნა, რომ აქ ვილაცას თვისი ბიზნესინტერესი აქვს.

— რა ბიზნესინტერესია საუბარი?

თრუსოს ხეობაში ყაზბეგის რ-ნის გამგებელს გორა მალანას, გაა სოსელიასთან ერთად თავისი ბიზნესინტერესი აქვს, თრუსოს ხეობაში სამი წელი ბურღავდნენ კლდეს, მოგვხსნებთ, იქ მრავლად არის მფავე, ე.წ. „კვიძის“ წყლები, ამ წყლებიდან CO₂ ამოღება უნდოდათ, რაზეც ნახევარი მილიონია დახარჯული, ახლა მისთვის გზის გახსნა თავისმოჭრის ტოლფასია, იმიტომ რომ თრუსოელი ოსები თავიანთ საცხოვრებელ სახლებს რომ დაუბრუნდებოდა, ილაღებენ მისი გაფუჭებული საქმეები. გარდა მავისა, ადგილობრივი ხელისუფლების ნაწილმა, თრუსოს ხეობაში მიწის ნაკვეთები დაინაწილა და აგარაკებს იშენებენ. ესეც ოსების დაბრუნების შემდეგ გაირკვევა, და კიდევ ბევრი რამ გაირკვევა...

— თუ რაიონის გამგებელს გზის გახსნა არ სურს, მაშინ რატომ გამართეს თქვენს მიერ მოწოდებული შეხვედრის შემდეგ მოსახლეობასთან შეხვედრა, სადაც ხალხი გზის გახსნის სურვილს გამოხატავდა?

ვერ ხვდებით რატომ?
— ვმეც თამაშია? მაშ ვისი დაგვემილი სცენარით და ვის თამაშს თამაშობს ხალხი?
— კითხეთ გამგებელს.
— გამგებლის მოადგილის თანამდებობიდან

რატომ გაანთავისუფლეს კესო ხართიშვილი, რომელიც თქვენი კადრი იყო?

— ვმეც გამგებელს ჰკითხეთ.

— ე. ი. ამ პასუხებით თქვენ აღიარებთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტთან თქვენს დაპირისპირებას?

— მე გაფუჭებული საქმეების გამო დაეუპირისპირდი, პირადი შური არავის მიმართ არ მაქვს.

— თქვენ რესპუბლიკური პარტიიდან იყარეთ კენჭი, იცავთ თუ არა მათ ინტერესებს და იზიარებთ თუ არა მათ აზრებს, როგორც დეპუტატი?

— მე დიდ პატივს ვცემ რესპუბლიკელებს, ვე ინტელექტუების პარტიაა, ერუდიტები არიან. მაგრამ მე პარტიის წევრი არ ვარ.

— დღეს რომ დასჭირდეს პარტიას, დაეზარებოთ თუ არა ყაზბეგში, პარტიის ოფისის დაფუძნებაში.

— მე რა ფორმით უნდა დავეხმარო, თუმცა არც ხელისშემშლელი ვიქნები. მაგათთან შეხვედრები კი არ მაქვს, თუ ვინმე რამის გამკეთებელია, გნებავთ 9 პარტია დაარსეთ, პრობლემა არ არის.

— ერთ-ერთ სუფრაზე თქვენ თურმე დაიტრიალეთ, რომ 1300 სული ცხვარი გიყიდათ, ამომრჩეველთა სახით, ამიტომ თქვენი ამომრჩეველი დახმარების სათხოვნელად ვეღარ მოვა. ვინაიდან საპარლამენტო არჩევნებზე მათთვის საფასური გადავიხდით, თუმცა ისიც გითქვამთ, ვერც ის ადამიანი მთხოვს დახმარებას, ვინც არ იყო ჩემი ამომრჩეველი.

— რა სისულელეა, ვე ჭორი საიდან მოიტანეთ, მე მაგას არ ვიტყვოდი, პირიქით, მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს წინასწარჩვენო პროგრამაზე, ხან ვემთხოვებოდა ხელისუფლებას, ხან წავეზნებებოდა, ხან მოვეყვებოდი, საქმეს კი მაინც გვაგაკეთებ, თუ ჩემს მოსახლეობას ვერაფერი გავუკეთებ. პარლამენტში გამჩერებელი არა ვარ. სახელიანი ცხოვრება მირჩევია, შეფუროთხეულს. მე იმიტომ კი არ ვარ დეპუტატი რომ პენსია ავიღო, ხვეთან ერთად რაღაცა საქმე უნდა გაკეთდეს, ნამდვილად ვიყავი ოპოზიციონერი, მაგრამ ჩემს რაიონში ხელისუფლებამ რაღაც ნამდვილად გააკეთა და არ უნდა დაეუკარგო, თუმცა როცა არ გააკეთებენ, იმასაც ვიტყვი. თქვენ იცით რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა სოფლებისათვის წყლის შეკეთების პროექტში, ჩემი სოფელი-კარკუჩა და ახალციხე არ ჩასვეს, სამაგიეროდ ჩასვეს თრუსოს ხეობის ერთ-ერთი სოფელი უხათი, რომელიც დაუსახლებელია, იქ წყალი იმიტომ უნდათ, რომ მალე წამოჭიშონ თავიანთი აგარაკები, ჩემი ჩარევის შემდეგ, ორივე დასახლებულ სოფელს ათ დღეში შეუკეთდა და ალუღა წყლის მიწოდება.

— დეპუტატობის ერთი წელი მცირე დრო არ არის. ამ ხნის განმავლობაში რა გააკეთა რაიონში თქვენს მიერ და რაში დაგეხმარათ ცენტრალური ხელისუფლებამ?

— კარგი იქნება თუ ჩვენი რაიონისათვის ამუშავდება მთის კანონი, მაგრამ ხელისუფლება თავს ჯერ-ჯერობით იმიტომ იკავებს, რომ ჩვენს 1500 მეტრანმაღალმიან ზონასთან გათანაბრებას ის რაიონებიც ითხოვენ ზღვის დონიდან

ბაბრძილუბა მ-5 გმმრლში =>




ლარს, + 0.2%, იყო მოსაკრებელი, რომელიც საგზაო ფონდში მიდიოდა. ვფიქრობ, თითოეულ მანქანაზე უნდა დაწესდეს მინიმალური გადასახადი მაინც, ვთქვათ 50 ლარი, რომელიც რაიონულ ბიუჯეტში შევა და ეს თანხა ისევ მოსახლეობას მოხმარდება, ამ თანხით დაფინანსდება ეკოლოგიაში, განათლებაში, კულტურაში მიმდინარე სიახლეები, თანხა გაიცემა ნიჭიერ სტუდენტებზე, დაფინანსდება ოპერაციები, შეგქმნით სოციალურ პაკეტებს. დასაქმდება 500 ადამიანი მაინც. მოსახლეობის მიგრაციული პროცესიც შეჩერდება, ეს უკვე კარგია.

— მე რაიონის მოსახლეობის ასეთი სახით ადგილზე დამაგრებისა, ნაკლებად მჯერა, არც ის მგონია, თუ მართლა შეიქმნა მოსაკრებელთა მზავისი სამსახური, ეს თანხა რაიონისათვის გამოიხატოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

— რატომ, მე რეალური სურათი დაგხატე, ვინაიდან ხელისუფლება ქვეყანაში მიგრაციის შესაჩერებლად სე-

ადგილობრივ არჩევნებში, თქვენი კადრის მოყვანის სურვილი გამოხატეთ, რომელთაც თითქოს შედეგს მოსახლეობის დარწმუნება და გადაათქმევენეს საბაჟო პუნქტის გახსნის სურვილი. გამოდის რომ ორმაგ თამაშს თამაშობთ?

— ეგ ჭორზე აგებული შეკითხვაა, რომელსაც გარკვეული დედაკაცების ნაწილი ავრცელებს, რომელთაც ბევრი არაფერი ესმით, ისინი გზის გახსნას სტრატეგიული კუთხით არ უყურებენ, მათი ერთადერთი საზრუნავია, საბაჟოზე უპრობლემოდ როგორ გადმოიტანონ „ბეჩენია“ და გაყიდონ, თუმცა როგორც მოგახსენეთ, ეს შეუძლებელია, საბაჟოზე ამ ეტაპზე მოსახლეობის ყოველგვარი გადაადგილება გამორიცხებულია, ხოლო რაც შეეხება არჩევნებში, ჩემი კადრის მოყვანას, ეს სიცრუეა. ჯერ ერთი არჩევნებამდე შორია, მეორეც ადგილობრივ არჩევნებთან არაფერი მესაქმება. გიმეორებთ, შეხვედრა მოუწვევე ხელისუფლებას და ადგილობრივ მოსახლეობას, მათ იქ ისაუბრეს, როგორც სტრატეგიულ მხარეებზე, ისე რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საშიშროებაზე. ორმაგი



ლია (ლილი) ლორია

ქალბატონი ლია დაიბადა ბათუმში. მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პარამე ლორიას ოჯახში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. არის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექტორად და სტუდენტებს ასწავლიდა ფილოსოფია-ფსიქოლოგიას. ვთავაზობთ ქალბატონ ლია ლორიას ლექსებს.

22 სექტემბერი

შეშინებინა, მუსა, სიტყვა მიიხარა შენი. ქალაქს დააწვა მხრებზე დაბე ვერმოსათქმენი. ცაზე ქათქათა მთვარე დამეს უსუნებს კალთას, ქარმა დაკეცა ფრთები აღმოსავლეთის კართან. სიმინასო, ვითომ ქალაქს? სიზმრებს ბალიშში ასევეს, ჩახუტებია ჩრდილი თვალჩინებულ სახლებს. უკვე სრულდება ორი, უკვე სატანის დროა, სადღაც ბობოქროს კშმა, კშმა ამადამ მოვა. შეგვგებები კრთომის და აღტაცების წამო, შიშით ცაცაცებს მუხლი, გული გაფრენას ღამობს. მიგყვები უცხო დინებას, ხანდახან ფიქრობ მთლიოდ — ეს ყველაფერი რისთვის? და რა იქნება ბოლოს?

ბეგნი დამე ვითოე, ახლა აღარც მჯერა, ბეგნი ლექსი დაგწერე, მაგრამ შენზე ვერა. ის რა იყო ისეთი, სიყვარულის წამო, ერთი კოცნა მოვასწარი და დამთავრდა ამით. უთქვენობა ამქვეყნად როგორ უნდა ვატარო, როგორ უნდა ვოგუო ამოდენა სამყარო. ის ღამაზე ქაბუკი ჩემთან შეყრის მდომელი ლოდინით არდადლილი ხესთან ისევე მომელის. აღარ დამბრუნდები, დაკარგული წამო? ჩემთვის შემინახული სიყვარულის გამო.

ტატას თამბული

ტატას გულის მისაგებად მივეუტანე თაფელი, ვარდები და მინაკები,

ნარგიზები და სუბული, ენძელა და ყონიფარდა, ბალახებში ჩაკარგული, მინდვრის თაბაში დიდდლო, ზაფრანები ბაღში რგული, იასამნის შტო ნარნარი, პირზე ცვარ-ნამ მინაბკური, შავწამწამა ტიტები და ლომის ხახა უცნაური, ინა, უცხოდ მოცემცმე, შქერი, ტურფა ტყის ასული, და იელი, დობის გასწვრივ ასული და გადასული. ქორფა თეთრი შროშანები, გაზაფხულის სამკაული, უკადრისი უკადრისა, ჭრელ კაბაში მოკაზმული. მოცაცაცე ზამბახები, ასკილი ფერგადასული და ყაყანი წითელ ქუდიო საკეკლუცოდ გამოსული. ზინდო და თვალმუქუნა, ბანარების გული, სული, კესანე და ფურისულია წყაროს პირას ამოსული. თვალბრიალა გვირდელი, ია, ნაზად ახატული... მაგრამ მანც არ იქნა და ვერ მოვიგე ტატას გული.

ფერთა თამაში

ლ. თ-ს

შავი, შავი, შავი ზღვა, თეთრი, თეთრი გემი, ნეტავ რამ გამახსენა ეს სიმღერა ძველი.

ძველი მეგობრები და ის დრო სანატრელი, შენი ქერა ნაწნავი, მოკლე კაბა ჩემი, ჩემი ძველი ვანცდილი, შენი გულის ძველია, ჩვენ იმდენი ვიყავით, მე მიყვარდი ყველა. შავი, შავი, შავი ზღვა, სანაბარი მწვანე, მზე სხივებაკრევილი, ზღვაში მობანავე, მობანავე სინათლე, შეჯიბრება ფერთა, ყველაფერი თავადება, ყველაფერი ქრება.

რამდენიმე დამეა, სიკვდილს ვესაუბრები, ირგვლივ შემომხვევია ყველა იქაურები. ჩანს მისხამს გადია, ქოქებს აწყობს როგებად, და თან უცხო მოყმეზე ნაცნობ ამბავს მიყვება. ჩემო მზეო-ლიზიკო კლოს უქცევს კახურად, არ შეგცინავდეს გოგოჯან მხრებზე თავშალს მახურაგ. კარებს ფეთქებს დედა და მხარული შემოგა, თუმცა უკვე მისი ხმა



შესმის დაბლა ეწოდან. ჩემი დიდი ტყვილი, ჩემი ტკბილი მამიკო, ასე უცებ სად გაქრა, ახლა ჩემთან აქ იყო. ჩემი მზიუნუნახავი, დოლო, ჩემი დობილი ნაღვლიანად მიყურებს, მკლავზე თავდაყრდნობილი. ის ღამაზე ქაბუკი, ჩემთან შეყრის მდომელი, ლოდინით არდადლილი, ხესთან ისევე მომელის? უთქვენობა ამ ქვეყნად როგორ უნდა ვატარო, როგორ უნდა ვოგუო, ამოდენა სამყარო. რამდენიმე დამეა სიკვდილს ვესაუბრები, გბოულობით და ვიცა, რომ მაშინვე გამიქრებით.

მ-4 გეგრილიან

500 და 600 მეტრზე რომ მდებარეობენ, კანონი მისი ამოქმედების შემთხვევაში სხვა რაიონების „განაწევრებას“ გამოიწვევს. თუ მთის კანონის ამოქმედება მოგახერხებ, ამაზე უკეთესს რას გააკეთებს ღებუტატი.

– მთის კანონის ირგვლივ საუბარი წყლის ნაკვა, ამას მოსახლეობა დიდი ხანია მიხვდა, მოდით ისევ თქვენს ერთწლიან ანგარიშს დავებრუნდეთ.

– დაბა ყაზბეგისათვის და სოფელ გერგეტისათვის წყლის თანამედროვე სტანდარტებთან მისდავებული პროგრამით მუშაობს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი. ჯვებირ-სამგერ საშუალებებს ასრულებს ბუნების დაცვისა და რესურსების სამინისტრო. სოფ. გერგეტელს დაეპირდა სკოლის გარემონტებას და გაყარ-ემონტეო. ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ინვესტ-2008“ მდინარე თერგზე, სოფ. გერგეტთან აკეთებს ჯვებირგასამაგრებელ საშუალებებს, მათვე იტვირთებს სოფელ ხურთისის ხიდის შეკეთება, თუმცა ეს საშუალები წელს ვერ დაასრულებს.

ჩემი თხოვნით უნდა გაკეთებულიყო გერგეტის კილომეტრნახევარიანი და სოფ. სნოს, ეპარქიისკენ მიმავალი სამ კილომეტრიანი გზა, რომლის გაკეთებასაც პრეზიდენტი დაპირდა პატრიარქს. ვისურვებდი რომ, ის რაც წლებულს ხევში გაკეთდა, მთავრობამ მომავალში ორი იმდენი გააკეთოს. დამპირდნენ და შეასრულეს კიდევ, ამას ნურც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი დაბრალდეს და ნურც სხვა ვინმე. ხევს მეტი ინფორმაცია სჭირდება. სამწუხაროა, რომ არ ფუნქციონირებს ადგილობრივი გაზეთი, სადაც ჟურნალისტები, არც გამგებლის, არც ჩემი და არც სხვა ჩინოვნიკების კრიტიკას მოერიდებადნენ, თუ გვინდა წარმატებებს მიაღწიოს ხევმა, ვილაკამ პასუხისმგებლობა უნდა იკრძნოს.

– როდის დაიწყება გულაური-ყაზბეგის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომლის დასრულებასაც საკრებულო მოსახლეობას 2007 წლის ბოლოს დაპირდა?

– როგორც ვიცი, ამ მონაკვეთს იმიტომ არ აკეთებენ, რომ ასფალტის საფარი მალე აიყრება, ვინაიდან იგი თავისი ქანური შემადგენლობით რთული მთაა. მაგრამ ალბათ მალე სხვა ხერხით ამ გზასაც მივხვდებით.

– მოგესვენებათ, ერთ-ერთმა გერმანულმა კომპანიამ ჩვენს რაიონს უსაჩუქრა 4 მილიონი ევრო. თუ გავიხსენებთ ე. წ. „გერმანულ ანგარიშს“, ასეთი უანგარო საჩუქარი ცოტა არ იფოს დაუჯერებელია...

– ჯერ კიდევ შევარდნადის მმართველობის პერიოდში, ხელი მოეწერა 4 ვერიონ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს გლობალური დათბო-

ბისა და კატასტროფის პირობებში, რაიონის ფლორისა და ფუნქის დაცვას. მე პროექტის ორგანიზატორებს რაიონული გამგებობის შენობაში შევეხდი, გავეცანი რუკებზე დატანილი პროექტის ნაწილს, სადაც ზედმიწევნით იყო შესწავლილი და დატანებული რაიონის მთიანი ზონები, ტყეები, ნაკრძალი ტერიტორიები, ეს არის გრანტი, რომლის 10-% არის ბიოსფერულ ბუფერებზე დასახარჯი, დანარჩენი კი მონხარდება მოსახლეობას. როგორც მითხრეს, მათ მოსახლეობის აზრის შესწავლის შემდეგ, გადაწყვიტეს რაიონისთვის მოეხმარებინათ გრანტი, თუმცა დღეს აზრთა სხვადასხვაობის გამო, ისინი რაიონიდან აპირებენ წასვლას, სხვა რაიონში გადაინაცვლებენ, უბრალოდ დასანანია, რომ მოსახლეობამ, სწორედ ვერ გათვო ამ გრანტის დანიშნულება და ვერ მთარგო საკუთარ ინტერესს. თუმცა სიძარბოლე გითხრათ, მაინცდამაინც არ დაეინტერესებულვარ ამ პროექტით, უბრალოდ ჩავიხვედ.

– ანუ მაინც დაინტერესდით?
– უბრალოდ, ჩემი ქალიშვილია ფირმის

იმუშაონ, სამინისტროს კი თავისი გეგმები აქვს.

– ამ პროექტის შესახებ მოთქმა-მოთქმა იმით დაიწყო, რომ ბუნების დაცვის სამინისტრომ გახსნა ის ეროვნული პარკი, რომელიც მანამდე არსებობდა ყაზბეგში. გამოდის რომ მოატყუა ჩვენმა ხელისუფლებამ გერმანელი მეგობარი?

– რატომ დარგეს ნერგები? პარკში, მათი დარგვა კი გაზაფხულზე შეიძლება და შემოდგომაზეც.

– შემოდგომის მიწურულს ყაზბეგში უკვე ყინავს, ეს ჩვენმა გერმანელმა ქვემოქმედმა შეიძლება არ იცოდა, მაგრამ სამინისტრომ ზომ იცოდა... მაშინ გამოდის, რომ გერმანელები მოგატყუეთ და სამინისტროს აქვს გარკვეული ფინანსური ინტერესები ამ პროექტის მიმართ?

– გვენი გაზაფხულზე ხელახლა ჩამოვლენ, მე თქვენ მათ შეგახვედრებთ და გაგცემენ პასუხს. ცოტა არ იფოს გერმანელები რთული ფსიქიკის ხალხია, მაგრამ ჩვენგან ნამდვილად არაფრის წალგას არ აპირებენ. ეს ყველაფერი, რასაც გრანტი უნდა მოხმარდეს, სახელმწიფო

– დადებითი, მაგრამ გიმეორებთ, არ დაეინტერესებულვარ ამ პროექტით.

– მეც კვლავ გეკითხებით, თუ პროექტს არ იცნობთ, როგორ არის დადებითი, გარდა მავისა, გრანტს აქვს თავისი მიზნები, ამოცანები, კაკი-კაკივ გაწერილი ბიუჯეტი და სხვა.

– გასაგებია, მაგრამ გე მათ კითხეთ, მე აზრზე არა ვარ. როცა ჩამოვლენ ერთად დაესხდეთ და ამომწურავი ინფორმაცია მოვითხოვოთ. მე უბრალოდ დამენანება, თუ ამ პროექტს ყაზბეგისა და წაილებენ, სხვაგან თუ გააკეთეს, მიხვდებიან მოხვედები, რა დაკარგეს. მე მიუკერძოებელი ღებუტატი ვარ, ოპოზიციიდან და არა ხელისუფლებიდან

– კარგით, დაველოლოთ გერმანელებს, შეგხვდეთ და მაშინ თქვენც ალბათ უფრო ამომწურავად შეიტყობთ, რატომ ემხრობოდით ამ იდეას...

– კარგია, თუ მაგ გრანტზე მოსახლეობა უარს არ იტყვის, თუმცა მათი დარწმუნება ჩემი საქმე არ არის, ჩემი მიზანია გარკვეული ინტერესები ჩავლოთ ხვევის სასარგებლოდ. იგივე შეგხება გზის გახსნასაც, რაზედაც ჩემი არც თუ ისე უსაფუძვლო შიში გამოვთქვი, აქაც გამოვანინე ჩემი ინტერესები მოსახლეობის სასარგებლოდ, თუმცა ეს ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოს...

P.S. თვავდაც მიხვდით, მასალა უკომენტაროა, აქ მოტანილი შეკითხვები ნაწილია იმ ახალი ჭირისა, ზედ რომ დაელო ძველს, აგორდა და ერთ დიდ დარდად შეკრული იქნებ ოდესმე დაიქუხებს კიდევ, მაგრამ კომენტარი და ანალიზი ყაზბეგის რაიონის მათორიტარი ღებუტატის ბ-ნი რომან მარსავიშვილის ინტერვიუს ირგვლივ. მოხვედებისათვის მიგვინდა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რაიონის გამგებელსა და ღებუტატს ერთმანეთთან ნათელიმორთი აკავშირებთ, როგორც ამბობენ გამგებლის კანდიდატურა რეგიონის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელისთვის სწორედ ღებუტატს შეუთავაზებია, გამგებელი ღებუტატის ერთ-ერთი შვილიც ნათლიაა. ამდენად რეალურია თუ არა მათი დაპირისპირება ეს ცალკე თემაა, იმ შემთხვევასაც გავიხსენებ, რომ გამგებელ-ღებუტატი გაზეთ „ალიას“ რედაქციას ერთი თვის წინ შეხმატებულეული ექვიგნენ თურმე...

ნონა სუჯაშვილი „სათქმელი p. s.“ საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტი.



თარჯიმანი, ის მაცნობდა გრანტის სასიკეთო მხარეებს და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ცუდია, თუ თანხა ყაზბეგიდან წავაო. გვენი ახლა საქართველოში არ არიან, ზაფხულში ჩამოვლენ, მაგთ გარკვეული სადაო საკითხები აქეთ ბუნების დაცვის სამინისტროსთან გადასაწყვეტი, რადაცკებზე ვერ თანხმდებიან. ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდათ

ქონებაა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კუთვნილებაა, თუ არ დაიდო რაღაც ხელშეკრულება, ანუ რაღაც რაღაცის სანაცვლოდ, ამაზე საუბარი კი არ ყოფილა, ამდენად მსგავსი ეჭვები გაუმართლებელია.

– იქნებ დაილო კიდევ და ჩვენ არავინ ჩავგახვებებს ამ საქმეში, მაინც როგორია ამ პროექტზე თქვენი აზრი?



საქართველოს ბევრი ჰყავს ისეთი გმირი, რომელთა გვარ-სახელი ისტორიას არ შემორჩა. მათ შორის არის კრწანისის ველზე გმირულად დაცემული სამასი არაგველი. არაგველთა გმირობისა და მეფე ერეკლესადმი ერთგულების სამაგალითო ამბავი ხევესურულ ანდრეზებშია ასახული და, როგორც მწერალი კობა არაბული ამბობს, მთაში ამ ანდრეზებით ზრდიან მომავალ თაობას. კობა არაბული კრწანისის ომისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ გვესაუბრება.

სამანქანური ეცვათო“ ...

ეს იყო ფატალური ომი: როგორც ვთქვით ძალიან მცირეა ბრძოლა, ბევრი, ძალიან ბევრი მტრის წინააღმდეგ! და ეს ომი მათ მოიგეს კიდევაც(!) რომ არა ღალატი! კრწანისზე ცხენიდან ჩამოაგდეს ალა-მაჰმად ხანი!... — ფაქტურად გაქცეული (მობრუნებული) საჭურისი უკან სომხებმა მოაბრუნეს: „ერეკლეს ძალიან ცოტა ჯარი ჰყავსო!“

ხევესურულ პოეზიაში ნახსენებია ვინმე უთურგაისძე (უთურგაისძემ გაჭარბათ, კარგად უჭრიდა ხმალი“). ნახსენებია ლუღელი მანგია

მათ: „არა, ძებო, ასე არ შეიძლება, ვაცხადებთ და ვაჩვენებთ შვეს თეთრად და მოვლენებს გადაბრუნებულად“. ვინც სიმართლის თქმა და ერთიანი, გაზავებული ჭაობიდან ამოხტომა სცადა, მოკვდეთ და განადგურდეთ. ხალხი უნდა მიხედეს, რომ შეუძლებელი ხდება ბევრიდან ბევრის ამოჩვენვა, ამიტომაც მიგვანისნებს ფხოველთა საკრალური სიბრძნე: ამოირჩიე დიდში მცირე და ცოტაში ბევრი.

კაი ყმა და კითხული კაცი იღვენება ქართული სახელმწიფოდან. დგას მათი განადგურებისა და დისკრედიტირების „მწარე

ხალხებთან, ეთნიკურ პროვინციებთან, ოსებთან და აფხაზებთან საჭიროა კეთილი განწყობის დამყარება, ურთიერთობა, კავშირების აღდგენა; ისეთი დემოკრატიული, აყვავებული სივრცის შექმნა, რომელიც თავისთავად მოიზიდავდა მათ და მსოფლიოს საშუალებას მისცემს, დაიცვას ეს ქვეყანა, როგორც კულტურის და დემოკრატიის ოაზისი.

სამწუხაროდ, სააკაშვილმა დაანგრია ერგენით, ოსებთან ურთიერთობის „გადატვირთვით“ დიდებული ოაზისი, რასაც მოჰყვა 2004 წლის და 2008 წლის ტრაგიკული მოვლენები - „ხელისუფლების კლიმაქსური ომები“!?!

იგივე მომომქმნა აფხაზეთის მიმართ. ვინც აფხაზეთთან ურთიერთობის დათბობას ცდილობდა, სააკაშვილმა ყველა ჩამოაშორა პოლიტიკას, მისი ეს მავნე ტენდენცია დღემდე გრძელდება.

კობა არაბული: სამასი არაბული სახელებსა და გვარებს საფარველი დაედო თვით უფლის მიერ

— ბატონო კობა, ფოლკლორში, მთაში შემონახულ ანდრეზებში ზომ არ არის შემორჩენილი 300 არაგველის სახელები და გვარები?

— ფხოვის მილიან თემს და თემში — ყოველ გვარს და სოფელს ჰყავდა რჩეული კაი ყმა და მემომარი, რომელსაც მიჰქონდა თავისი უბადლო საომარი ხელოვნება ბატონობაზე თუ კრწანისზე. მანამდე — ფარნავაზის ომებში — „ქავთა ქალაქზე“ და უფრო ადრეც... უხუცესი მეცნიერი კოტე ჩოლოყაშვილი თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ამბობს, რომ „ხევესური ყოველი ბრძოლიდან თითქმის უდანაკარგოდ გამოდიოდნენ, რადგანაც მათ ჰქონდათ სრულიად განსხვავებული საომარი ცოდნა და უნიკალური საომარი საჭურველი (ნაქსოვი და ნაჭები ხევესურეთში)“.

ფხოველთა საემოში მემომარ-სარანგთა რაზმებს რჩევა-დარიებებს აძლევდა, წვრთნიდა და მართავდა ბრძენ, კითხულ კაცთა, ხევისბერთა და ქადაგთა კასტა. აქ, ამ სივრცეში, არ იყო, არ იზრდებოდა ბეჩავი, უღირსი ხორციელი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ყველას ბრწყინვალედ შეეძლო მახვილის ხმარება და თავგანწირვა. ამის დასტურია, თუნდაც 300 არაგველის ფენომენი, რომლებიც იცავდნენ მეფეს და მამულს.

არის ვერსია, რომ ყველა მათგანი დაიღუპა... არის ვერსია, რომ ბევრი მათგანი გადარჩა და დაჭრილი, აზვარდაფლეთილი ედგნენ მეფეს ირველივ, მათ შეუერთდა ფხოველთა ახალი რაზმი, რომელთაც გაანადგურეს ალა-მაჰმად ხანის მღევარი ლაშქარი ჟინვალთან და ნალაღატარ მამაც მეფეს ტყვეებიც მიჰკვარეს ანანურში.

300 ქარიზმული მემომარი გამოვიდა ფხოვის საიდუმლო ხეობიდან, რომელთაც, ფაქტობრივად, ტყვეობიდან იხსნეს მეფე. 300 ძალიან ბევრია იმ „მიკროსამყაროდან“, საიდანაც ისინი გამოუშვა გუდანის ჯვარმა, ანუ გაცხადდა სიბრძნე: „ამ-ოირჩიე ბევრში ცოტა და ცოტაში ბევრი!“

ისინი იყვნენ ცოტაც და ბევრიც და მათი მოქმედება იყო იმდენად ფატალური, რომ ფოლკლორში 300 არაგველის დაღუპვის ამბავი რაღაცნაირად ტაბუირებულია. ეს იმდენად შემადრწუნებელი და წარმოდგენილი იყო, რომ არ დაიჯერეს, ანუ საფარველი დაედო თვით უფლის მიერ!

— ბატონო კობა, ნუთუ არცერთი მათგანის სახელი და გვარი არ არის შემორჩენილი?

— ხევესურულმა ანდრეზმა უფრო ძველი ამბები იცის, ცხადად აქვს დამახსოვრებული ყველაფერი, მაგრამ 300 არაგველის დაღუპვაზე ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდის, თუმცა, ესეც საინტერესოა.

ფოლკლორი ამბობს, რომ გუდანის ჯვარში სამი ქადაგი დასვენეს. სამივეს საბედისწერო ნიშანი დაუდგა, დაბრუნება და ომში არწავსლა გამოუცხადეს მათ მემომარებს. მემომარები ქადაგთა ნებას არ დამორჩილდნენ: „არ დაიშალეს ხევესურთა, არ ბრუნვას ჩვენი გვარიო“ და გუდანის ჯვარის ხუცესს სალაშქრო დროშის გამობრძანება სთხოვეს.

იმედა, ხევისბერი გუდანის ჯვარისა, წარუძღვა მათ, გაიარეს ქალაქი და გავიდნენ კრწანისზე.

ქალაქში ხევესურთა შესვლა ეტყობა სომხებმა შეამჩნიეს(?).

„გაჰკვირდნენ სომხის შეილები, / მოვიდა ხევესურთ ჯარიო“ — ისინი ჯაჭვის პერანგებში იყვნენ: „ტანთ



(„თოფის ხმა ისმის მალი-მალ, ღუღელ მანგია ვარით“). ნახსენებია სამი მხედარი ლომნი და ბა ბაცალიფლები და ნოიფურა ჩალნისძე ლიქოკელი. ისინი, ეტყობა, ადარდბრუნებულან, რადგან „ციხეთა ბაცალიფურტა დაბლა დახარეს თავიო“.

მეფე ერეკლეს, აწყურდიან მოყოლებული, ყოველთვის თან ახლდნენ სუმბატა ლიხაურისძე, ჯამბათა ივანეური, გულანელი დერენა გუგუაიშვილი, ჯამშაიძე — დედისერთა მემომარი, რომელიც აწყურთან იღუპება. ჯამბათა ივანეური კრწანისზეც ჩანს და იქ იღუპება. ბინდურთ აბას და სხვათა ასავალ-დასავალი უცნობია.

— ზომ არ არის ცნობილი, რა ბედი ეწია იმედას — გუდანის ჯვარის ხევისბერს?

— ხევესურთა ანდრეზით, დაჭრილი იმედა შემოვიდა გუდანის ჯვარში. ის მოიბეჯინდა ხმაღს, რომელსაც „წვერი ორად ჰქონია გაყრილი“. მან კრწანისიდან დააბრუნა საომარი დროშა, რომელიც დღემდე იქ ინახება. ნახსენებ კი ბეჭი გადასხვეული ჰქონია თვით დერენა ლელოფლის მიერ. ეს ბოლო ინფორმაცია არის მოკლე და დრამატული, დიდი ტკივილის მომცველი, ჩატყულია მცირეში დიდი მოვლენა. ესეც ჩვენი ერის პარალელური სიბრძნეა. მამინ ქართველს ჰქონდა უნარი, ამოერჩია ბევრში ცოტა და მცირეში ბევრი. ამიტომაც 300 მემომარი გაჩნდა თითქოს არსაიდან... ახლა ჩვენ რამდენი შეგვიძლია გამოვარჩიოთ ამ ტიპის ქართველი, რომელთაც შეუძლიათ, გადაარჩინონ რაღაც და თავადაც გადარჩნენ?

— ერთი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომიდან. რას იტყვით ამ ომის შესახებ დღეს?

— ამ ომის მიზეზი იყო სწორედ ის, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში უმრავლესნი არიან უგუნური ადამიანები და მათი პოლიტიკა ამპარტავნება, მომხვეჭველობა, სკამისკენ ლტოლვა! ანდრეზთა არცოდნა ღუპავს მათ. პარლამენტის 95 პროცენტთან უმრავლესობაში მყოფ „ნაციონალებს“ არ გამოუჩნდათ ერთი ბრძენი, გონიერი კაცი, რომელიც ეტყობა

დრო“. ეს დრო დადგა აფხაზეთის პირველი ომიდან მოყოლებული.

აქვე მინდა ორივე სიტყვა ვთქვა ბაილენზე და იმასაც გეტყვი, რატომ. გამოჩნდა დიდი, მოწამლული და წამხდარი სამყაროდან კაცი ბრძენი და კითხული, განათლებული. ამ კაცის გამოჩენა ჩემთვის იყო სინანულიანი სიხარული: დმერთო, ჩვენს ერს რატომ არ აძლევ იმის ნებას და შეძლებას, რომ ამ ტიპის სახელმწიფო მოხელე ესვას თავისი ქვეყნის სახელმწიფოს საჭესთან? როდესაც ბაილენი საუბრობდა, მტყვენობდა, რომ ეს ანგლო-საქსი კაცი ფლობდა ძველ იბერიულ-კავკასიურ სიბრძნეებს, ქვეყნის მანერას, ანდრეზთა ცოდნას და ფლობდა სიტყვას ისე, როგორც ძველი ფხოვის კითხული კაცები. მტყვენობდა, რომ სააკაშვილის სახით მის წინ იჯდა სამოსანი, შლეგი მოწაფე, რომელიც თითქოს რაღაცას ისმენს, მაგრამ ვერ შეისმენს. ბაილენის ფრაზაში, რომ მე 90 წლის დედა მყავს და იმას ვუჯერებო, სულ სხვა ქვეტექსტი იყო. მან იგრძნო, რომ ჩვენი პრეზიდენტს ჯერ კიდევ სჭირდება დედის დარიებება... მან მიანიშნა ქართველთა პრეზიდენტს, რომელიც ბავშვებთან ერთად ისმენდა მის ბრწყინვალე გაკვეთილს, რომ ქვეყნისთვის მთავარი ფასეულობა კულტურაა და კერძოდ, პოეზია. ეს შემთხვევით არ უთქვამს მას იმ კაცისთვის, რომელმაც საკუთარი შენობებიდან განდევნა მწერლები, კომპოზიტორები, ყურნალები...

ავგისტოს ომზე მკითხეთ და ბაილენი იმიტომ დაუუკავშირე ამ თემას, რომ მან ამასთან დაკავშირებით არსებითი რამ უთხრა სააკაშვილს, რაც ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ — „გველა ხვერელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარით“. მან თქვა, აუცილებელია მოლაპარაკება ყოველგვარ მოწინააღმდეგესთან და აშკარად მიანიშნა, რომ ამერიკას გულზე არ ენატება რუსეთი, მაგრამ ცდილობს მასთან მოლაპარაკებას. სააკაშვილმა ეს გარემოება ვერ გააცნობიერა, ვერც ომამდე და ვერც ომის შემდეგ. ის ზის „იმავე ვირზე“, რომელიც ამნარი მხედარს ტლაზში ავდებს. ბაილენმა ნათლად და იგაურად მიანიშნა სააკაშვილს, რომ მეზობელ

კრწანისის ომი, რუსების ღალატის გამო წაგო მეფე ერეკლე, მაგრამ იმ ბრძენმა და მემომარმა მეფემ სწორედ რუსეთის საშუალებით შეძლო ერის, ენისა და სარწმუნოების გადარჩენა. დღეს კი, როგორც მე ადრეც ვითხარით, „ვარლების რეველუციასთან“ შერწყმული რუსეთის ფაქტორი აპოკალიფსურ წარდენად ექცა ჩვენს ქვეყანას. სააკაშვილის უგუნურებამ ბევრი გამოჩენილი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ მათი გმირობა, თავდადება, სამშობლოსთვის გაღებული მსხვერპლი უკვალოდ არ ჩაივლის, დრო და ისტორია მათ დაისხომებს და აღადგენს... მაგანს კი „სირცხვილიან სიცოცხლეს“ მკვდრად ყოფნა უნდა ერჩიოს.

ესაუბრა
თბა ასათიანი.

P. S. დასასრულს, როცა გმირთა ხსოვნაზე ვწერთ, ან ვფიქრობთ, მე პირადად ყოველთვის მიჩნდება უკმარისობის გრძობა — მათ მიმართ პატივის მიგების, ჩვენ მიერ მათი ღირსების შეფასების და დაფასების თვალსაზრისით...

მე არა მგონია, 300 სპარტელის გმირობა აღემატებოდეს ჩვენ „ხვთაებრივი“ უზოცო მემომარების ქველობას და საომარ ხელოვნებას. მახსენდება ფაშთა აღმწერის, სინანულიანი ფრაზა: „არა დიდ იყო აქილევსი, მაგრამ დიდსა მიემთხვა მაქებარსო“ — რა თქმა უნდა, არც აქილევსი და არც სხვა რომელიმე მეფე, თუ მხედარი „არა დიდ იყვნენ“ არცა დავით მეთთხენე და არც ერეკლე მეორეზე. ამ ბრწყინვალე მემომარმა და დიპლომატმა მეფემ სამი ვეშაპის წარდგინდა. (ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი) გამოიყვანა საქართველო მათი, რომ არა იგი, შესაძლოა „შუამინთა მახილში“ დამარხულიყო ჩვენი ენა და სარწმუნოება, ვითარცა ტაოკლავიუმში და სხვაგან...

„სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევქმენით (ვერ დავწერეთ) წიგნი და სტენარია, ვერ დავდგით კინო ამ „ფატალური“ ომის ისტორიაზე. სამასი არაგველისა და ქართველთა უკანასკნელი მეფის დრამატულ „საქეტაკლზე“, რომელიც კრწანისზე დაიდგა: რუსთა და სომეხთა ორმაგი ღალატი და — რომელიც დღემდე გრძელდება!

სამწუხაროა, რომ ჩვენ მათ ვერ დავუდგით ვერც ღირსეული ძეგლი, და ერთი მუზეუმიც კი ვერ დავაფუძნეთ მათი სახელის შესანახად (სადიდებლად), უფრო მეტიც: მათი სისხლიანი და დატყევილი მახვილებით დაფურსულ მიწაზე ახლა უცხო გვარ-თესლის სამორინებები და რესტორნები ცილობენ და ვეჯილობენ... დედაქალაქმა, ქალაქის მერიამ, სახელმწიფომ უნდა იგრძნოს და დაინახოს ამ უკვდავი მოვლენის აქტუალობა და მნიშვნელობა ჩვენს დროში.

დედაქალაქში უნდა ბრწყინავდეს 300 არაგველის გრანდიოზული პანთეონი — რომლის მნახველნი (ტურისტნი და მოგზაურნი) —ფიქრობდნენ და იტყვიდნენ ისეთივე სიტყვებს ბერძენი ფილონი რომ წარმოსთქვამდა პანთეონში ათენას ქანდაკების ხილვისას: „გულდამბობებულ კაცს დაავიწყდება საწუთროს ბაღლაში ამ ქანდაკების ჭვრეტისას, უკვდავია ერი, ვისაც ასეთი გმირები ჰყავს და ასეთ ძეგლებს უდგამენ“

კობა არაბული.

სულს მოსწერდა ნაზი კილასონიას ჭეშმარიტი პოეზია. ალბათ განგებამ შთაგვაკონა ეს მონატრება, მაღლიერება და სამომავლოდ პოეტის სათანადოდ დაფასების სურვილი.

ნაზი კილასონია უფაქიზესი ლირიკოსი, პოეზიაში მრავალი ახალგაზრდა ავტორის გზის გამკვალავი გახლდათ. პოეტის ლექსებზე არაჩვეულებრივი, მელოდიური სიმღერები დაიწერა, რომლებშიც თაობების სულიერებას ასაზრდოებდა, დღესაც მღერის მის ლექსებზე, მაგრამ სამწუხაროდ, ცოტამ თუ იცის ავტორის ვინაობა.

პოეტი არ ცდილობდა თვითდამკვიდრებას, პროულარობას, რადგან, ეს ყველაფერი თავისთავად ხდებოდა. კარგი დრო იყო მაშინ, პოეზიით სუნთქვად საქართველო, უყვარდათ, აფასებდნენ პოეტს და ლექსს. „საქართველოში უყვართ ლექსები, ან შენ გიცნობენ ან მე“. წერდა ნაზი კილასონია.

ფურცელად თითქმის ბიბლიოგრაფიულ იმეათობად ქცეულ მის პოეტურ კრებულს, ვკითხულობ ესოდენ ძლიერ მონატრებულ ლექსებს და უცებ „აჰა ჩემი მიგნებით, აჰა ჩემი დიდებით, მე რომ აღარ ვიქნები, მაშინ გამიფრთხილებით“.

გავუფრთხილდით, მოეუარეთ პოეტს? წარმოვიჩინეთ სათანადოდ მისი ადგილი ქართულ მწერლობაში და ჟურნალისტიკაში? რამდენი ხანია, რაც მისი პოეტური კრებული არ გამოცემულა? კიდევ ბევრი კითხვა იბადება ნაზი კილასონიაზე ფიქრის დროს.

ფიქრებში ფურცელად წიგნი და გრძობა, რომ პოეტისთვის ლექსი ერის მთელი სამყარო, დიდი სიყვარული, თავშესაფარია. თავად მას მოეუხმინოთ: „მაგრამ თქვენ არ იცით, რომ სახლში მაქვს ჩემი თავშესაფარი, ჩემი წიგნები, ჩემი ლექსები, ჩემი გალაკტიონი და ჩემი ლადო ასათიანი. პოეტის სულის ნაწილია ლექსი, „რომელსაც ზოგჯერ მიწისა აღარაფერი ესმის.“

პოეზია ნაზი კილასონიასთვის გაუნელებელი ცეცხლია, „მკერდზე ცხელ მკლავს მადებენ, სიმღერები ხანძრები“ წერს იგი. უფრო მეტიც, ლექსი არც დღე და არც ღამე არ ასვენებს პოეტს. „ღამ-ღამით ხელსა მკრავს მელოდია, შლეგივით ჩაირბენს გვირილიანს, ეს პირშო სტრაიქონის მოლოდინი მწარედ ბედნიერი ტკივილია“.

პოეტისაგან ჩანქერვით იღვრება ლექსი და იგი თითქოს აყვედრის თავის მკითხველს, რომ ვერ ამჩნევს ამ დიდ მოვლენას: „აბა თქვენ რას მიხვდებით, რა სიმნა გჭირთ იმხელა, გაავე-ბულ ფილტვებით მომათქრიალებს სიმღერა!“

როდის და სად დაწერა პირველი ლექსი? უთუოდ თავის მშობლიურ სოფელ აბისში, როცა ლექსმა ქონის კი არა, გულის კარები

შემოუნერია, ააფორიაქა და სამუდამოდ „მონობის ბორკილი“ დასდო. პოეტი მთელი ცხოვრება თავისი ადგილის დედის ერთგული, მისი მარადიული მელექსე დარჩა.

პირველყოფილი სიწმინდით ბრწყინავს ნაზი კილასონიას ლექსებში მისი მშობლიური, ყაყაჩოსფერი აბისი, ბავშვობის ორეული, სოფლის ფეხშიშველა წვიმები, აგარიდან აბისამდე მწვერნობების მოძახილი და ასკლებზე გამშრალი კაბა.

ნაზი კილასონია არა მარტო დიდებული პოეტი იყო, არაჩვეულებრივი მკითხველიც გახლდათ. იგი დღიურში წერს, „დამეწყო კვლავ კითხვაზე შეშლა, ღამიერს ვათენებ. ვკითხულობ, ვკითხულობ ზოგჯერ ხელახლა. ვკვიდებ ხელს თავის ქალაზე და ვამბობ: კი მაგრამ რისთვის ეს სისავსე, ეს გაბრწყინება, როცა ბოლოს მაინც მიწაა.“

როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტი, ნაზი კილასონია ხან მიწისა იყო, ხან ცისა. ამას თვითონვე აღიარებს: „თავი ზეცის მგონია და მიწაზე მიჭირს.“ ამ გასაკვირის ფაშს, ცისკენ, უფლისკენ მიისწრაფვოდა პოეტის სული, უფალს ეუბნებოდა პოეტურ აღსარებას. „შენ, შემოქმედო მაღალი, ვინც განაცხადე სოფლად, ვერ ქალად ყოფნამ დამალა, მერა პოეტად ყოფნამ.“

პოეტი მუდმივ შემოქმედებით წვაში, ძიებაში იყო. „ღმერთო, რატომ მიმატოვე, მე მიწა და ვწერო, შევქმნა დიდი რაშ“.

რა მშვენიერი მაგალითია პოეტის ეს სიტყვები ახალგაზრდა შემოქმედოთავის.

ეს წერილი პოეტის მონატრებამ მიკარნახა. ახალგაზრდობამ, მომავალმა უნდა იცოდეს, ვინ იყო ნაზი კილასონია. უნდა კითხულობდნენ მის ლექსებს.

პოეტი იმსახურებს ამას, უფრო მეტიც, ნაზი კილასონია დიდი პოეტი გახლავთ.

ლინა ბარათაშვილი

რამდამცნობის მინაწერი:

თითქმის მიინაგლა ნაზი კილასონიას ხსონა. არადა, ჩვენი თაობა მის ჭეშმარიტ პოეზიაზე გაიზარდა. შეიძლება ახალი თაობის ბევრმა წარმომადგენელმა არც იცის, რომ ამ თვალსაზრისით ლირიკოსს ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ორი გონიერი და ჰკვიანი (ოთარნი და ბიორბი ტრაგიკულად დაიღუპნენ ამ თხუთმეტობედ წლის წინ, რომელთაც უნდა ეპატრონათ დედის შემოქმედების წარმოსაჩენად და რაოდენ დასანანია, რომ იგი დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ვერ დაიკრძალა. ჩვენ ვაღვლებულნი ვართ, ახლა მაინც ღირსეული პატივი მივავით ამ



დიდებული პოეტის ხსონას, მის შემოქმედებას.

ქართველი მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეთა წარმომადგენლები ვთხოვთ თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, რომ ნაზი კილასონიამ კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს და გადმოვასვენოთ, დაგვრძალოთ დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რამეთუ მისი ადგილი იმთავითვე იქ იყო. მაშინ მისთვის რატომღაც არ აღმოჩნდა პანთეონში ადგილი, მას მერე კი ვინ აღარ დაკრძალეს: ზოგი ღირსეული, ზოგიც...

ჭაბუა ამირეჯიბი გურამ დონაშვილი რევაზ მიშველაძე მაყვალა გონაშვილი ზეზუა მედულაშვილი ვაჟა ოთარაშვილი გულო კობაშვილი

ზურაბ თორია გუგული ტოგონიძე ნინო ქუთათელაძე კობა არაბული ტარიელ ზარსელიაური მინიელ ქურდიანი გონა ზარანაული თემურ ჩალაბაშვილი თემურ შავლაძე დათო კასაბერი ერეკლე სალიანი ზაზა ქინქლაძე ირმა მებურიშვილი მზია ხეთაგური მთვარისა კერესელიძე ქეთევან დოლიძე ჯემალ მელქაძე ელდინო საღარაძე მარინე თექეთმანიძე იზა ჯავახიძე

მე მიყვარს, როცა შმაგი წკარუნით ქარი ატარებს ცაში მაგთულებს. არ მწამს სიცოცხლე უსიყვარულოდ — მე ქალი ვარ და ვერ გამამტყუნებთ. არ მწამს სიცოცხლე უსიყვარულოდ და ვარსკვლავებით სავსე თვალებით, ხან — მის ქუნაზე და ვად ფარულად, ხან კი — ბავშვით ხეს ვეყვარები. ჩქეფს სიყვარული, როგორც სიცოცხლე აუღვარებულ გულის კარებითან და ეს ამბავი მან რომ იცოდეს, ეკ. უსათუოდ შემეყვარება. რომ დიდ სიცოცხლეს კვალში მივსდევდეთ, რომ მომაგლდს გზა არ მქონდეს ვიწრო, მე... შვილიც მინდა, მაგრამ ისეთი, რომ შენეული თვალებით იცნონ... მე მიყვარს, როცა შმაგი წკარუნით ქარი ატარებს ცაში მაგთულებს, არ მწამს სიცოცხლე უსიყვარულოდ — მე ქალი ვარ და ვერ გამამტყუნებთ.

ტანთ ნაწვემარი მარმაში მეცვა, ქარმა მანუქი ფერი მძივებს, მცხეთის უბიდან ვუმწერდი ზეცას და შენზე ფიქრით ვერ ვიძინებდი. გზებს გაგყოფივარ, ბილიკს თოვლიანს და ქარისმხლებთან მქონია დავა, შენ ერთგულეა არ გათხოვია, მე ქვეყანად შენი ერთგული დავაღ. ცალ არემივით ვტოვებდი ქალაქს, რომ ტყის დუმილში შენზე მელოცა.

შენ ისევ ღურფი თვალები დაგაქვს, მე ისევ ბავშვის გული შემომწინა. ბატარა ქალია, ბატარა გული და სიყვარულით სავსე თვალები, მე ნაწვემარი, ვით ვაზაფხულია, არ ვეყვარებო?

ასმითი პარბი ნმტავ არ იყო

მოკა სხვა ვინმე, ჰოდა, წაგაყვანს, რომ გადამქცეს ვარდი ეკალად, ასეთი კარგი ნეტავ არ იყო, არ გიყურებდეს ნეტავ ქვეყანა. ნიტე მომძახის: „ბიჭო ვოგას“, შენით ხმაურობს ჩემთვის საწუთრო, მე ყველა ქალი მტერი მგონია, ვამე სხვამ არ დაგისაკუთროს! მე ყველა ქალი მტერი მგონია, ჩემზე კარგი და ჩემზე ლამაზი, ვის ვაგვავთნით, რომელ გონიერს რომ მეც ვიწვევს ამ ქვეყანაზე. ქარი მავყდება როგორც ქვა-რიყვს, გული გუგუნით დამდეგს ყველგანა: ... ასეთი კარგი ნეტავ არ იყო, არ გიყურებდეს ნეტავ ქვეყანა!

ნმპრია

რაზე ჩურჩულეებთ ვერსგვებ, ასე თითრები, კარგები... განა არასდროს შეგხვდებით? განა სულ დავიკარგებით?

შენკენ რომ მოუხაროდ, ის გული არ ჩაუქრიათ, ვერ ისევ გიცდის წყაროსთან ატრებული ნუკრია. გუმი სიცხელი ასწავლე, დღეს მარტო შენრა არყიანს და შენს ნაფერებს წამწამზე აბრთვს ცრემლი აყრია... შენი თვლები სად არის — ორი უძირო ნაბრალი, მათ შემეყვარეს ზღაპარი, ძველი, ლამაზი ზღაპარი. ახლაც შენს კართან მოვედი, ნეტავი წყარომ დამფაროს, ჩემი ბატარა ცხოვრების აუნდენელი ზღაპარი.

შენი თვალებს დაღლილი ეშმი თან გამეცა, როგორც ღურჯი დიდელი, მე მხოლოდ ბავშვი მიყვარდა შენში, და აღარ მინდა კაცად გიხილო.

მს რა მმპრთმება

ვამე, ეს რა მემართება, ლეგა მხედრთინი მეღანდება, ამშვენებთ შობნი და ყაწიშები, ცერებზე უსხვან არწივები, წითელ მიმინობს აწივლებენ გაღმა-გამოდმადან ყმაწვილები. ვამე, ეს რა მემართება, ნედლი სათიბები მეღანდება,

ქარით გაფრენილი ვეჯიღები, მწვანით დაფენილი ვეჯიღები. ვამე, ეს რა მემართება, ეს რა თავზარი და მემართება, აკვანზე ხელი მხივდება, ლამაზი თვალი მიმწერდება, თინეში პური მიცვივდება. მითი ჩამოშვავებულ რიკულებთან ჩემი ორი თვალი იყურება. აბა, შემომხედეთ მუშაითნი, უფალთან ტოლივით ვუმსაიფობ, ხომ ასე ღარიბი და რბული ვარ. მე მაინც მისი რწეული ვარ, მიბრძანა — ეს ლექსიც სატიალიო, მისი გუნებოსად გატრიალიო. ვამე, ეს რა მემართება?!

თეთრი ხანთლებს მეგსება რიყე, რა სასწაული რამ ხარ საუფლო! კაცა, რომელიც დმერთითი მიყვარს ჩვეულებრივად დგას და საუბრობს, ჩვეულებრივად აბრწყინებს ღიმი, ჩვეულებრივად უნანს პროფილი, ჩვეულებრივად ეშვება მიმეიდ გლეუ მაგდაწე ხელდაყრდნობილი. ჩვეულებრივად თნახს კალამს, ჩვეულებრივად ანთებს პაპირთს, ჩვეულებრივად მბრუნებს საღამს, და რა თქმა უნდა სხვათნი აბრთლობს!...
...
რა უწვეული რამ ხარ, საუფლო!

ხევი, ყაზბეგის დღესასწაული



უმს უძღვებოდა სამუხეუმო საქმის ენოქიასტი სტეფანე ალიბეგაშვილი. აღნიშნული მუხეუმის დიდი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მოთავსებულია იმ შენობაში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ქართული ბელეტრისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი – ალექსანდრე ყაზბეგი.

მუხეუმის ეზოში დღესაც დგას ყაზბეგის საგვარეულო ეკლესია, რომელიც ააშენა მწერლის პაპამ – გაბრიელ ყაზბეგმა და აქვე განისვენებენ დიდი წინაპრები და თავად გენიალური ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი და რომელსაც თავისი განუმეორებელი მოთხრობებით, პირველმა გააწინა სილა რუსეთის ცარიზმის თვითმმართველობას საქართველოში.

მუხეუმს ამჟამად ხელმძღვანელობს მშენებელი მოხვეე ქალბატონი მზია ჩქარეული. 2008 წლამდე ეს კერა ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდებოდა. ახლა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 2009 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემადგენლობაშია.



მუხეუმს აშკარად დაეტყო ნიკოლოზ ვაჩიშვილის მზრუნველი ხელი. თანამშრომლების ხელფასები გაიზარდა. შექმნილია საოფისე ავეჯი. ეთნოგრაფიის განყოფილების გასახლებლად გამოიყო მცირედენი თანხა, რომელიც მუხეუმის ვინიერმა, ახალგაზრდა და ნიჭიერმა თანამშრომლებმა ნაზი სუჯაშვილმა, მანანა და ლელა სულელიძეებმა, ნანა ფირანიშვილმა, გიული მაისურაძემ, ვიზი გამარაულმა, იზა ჩქარეულმა და სხვებმა მუხეუმის პირველ სართულზე განათავსეს ისტორია-ეთნოგრაფიული და ალპინიზმის ნიმუშები. სანიმუშოდ არის წარმოჩენილი ხევის სამეურნეო ყოფის ამსახველი ნივთები, ახლებურად განთავსდა მატერიალური კულტურის მასალები. თვალის მომჭრელი სილამაზით არის ექსპოზიციაში წარმოდგენილი მოხეური საცხოვრებელი ოთახის ინტერიერი. აქვე იხილავთ ძველ საქართველოში არსებულ უნიკალურ ნიმუშებს. მოხევა განყოფილებაში კი მოთავსებულია საოცარი ექსპონატები: ბეთლემის კარი, ბერების ნივთები, თემის საბჭოს დროშა. რას არ ნახავთ აქ, ამ უმდიდრეს და უნიკალურ მუხეუმში.

მეორე სართული მთლიანად ეთმობა ალექსანდრე ყაზბეგს, მის გენეალოგიას და შემოქმედებას. აქვეა მისი პირადი ნივთები, მწერლის დედის ხელით ნაქსოვი წმინდა გიორგის ხატი.

ჩვენი სტუმრობა ყაზბეგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა. ვის არ შეხვდებოდათ შემოდგომის მზით გაჯერებულ დღეს ალექსანდრე ყაზბეგის მუხეუმის თვალწარმტაც ეზოში და რაც მეტად მნიშვნელოვანია და საამაყო, ამ დიდებულ ღონისძიებას, რომელიც მიმდინარეობს ალექსანდრე ყაზბეგის 170-ე წლისთავს, სტუმრობდა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II.

ეს ხვთისნიერი დღე არასდროს დაავიწყდებათ სტუმარ-მასპინძლებს.

ლაშა-გიორგი პრავეიშვილი.

სტეფანე ალიბეგაშვილის ისტორიული მუხეუმი, ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუხეუმის ბაზაზე შეიქმნა, რომელიც 1934 წელს დაარსდა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ტიციან ტაბიძის თაოსნობით და აღნიშნულ მუხეუმს იგი 1937 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამავე დროიდან 1968 წლამდე, მუხე-



ვაჟა ოთარაშვილი

ლოცვა რუსთაველზე

ვიცი ღამე ცუდად გძინავს, შვითავ, ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით... რუსთაველზე ვნახე წუხელ შოთა, გვერდზე ედგა მეფე ფარნავაზი... ილიას და წერეთელის ძეგლთან თერგდალეულ ერის მამებს შევხვდი... „ვაჟა არ ჩანს“ – დავაპირე მეთქვა და შეირხა მთაკაცივით ვერხვი... გურამიშვილს გვერდში ედგნენ ლეონი, უფიცავდნენ ერთგულებას ყონალს... სვეტიცქიანს სამას არაგველთა ლეკენი: „არ ვიქნებით არავისი მონა!“ აქ სრულიად საქართველო იდგა, წმინდანები ირგვლივ ჰყვებოდნენ ნათელს... დავით მეფე დიდგორულად, მედგრად, კვლავ ბრძოლისკენ მოუძობდა ქართველს... გაბრწყინებულ ივერიას ვხედავ! თეთრ გიორგის ქაშუეთის კართან – ქვისტეცს ლაშქრის სწორუბოვარ მხედრს, კვლავ ფარავს ღვთისმშობლის კალთა! ვიცი ღამე ცუდად გძინავს, შვითავ, ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით... სვეტიცხოველს ჯვანი გადაშორდა, საქართველოს ღვთის ბეჭედი აზის!

2008 წლის აგვისტო, სოფელი ჭვავიჭალა

ავგისტო... სოფლის შარას მივდექ, სიცხისაგან ყველა ფშანი დაშრა... გაიარა რუსის ტანკის ჩრდილზე, ამ ფშატივით ჭორფლიანმა ბავშვმა... ისევ ძველი ნასაყდრალი გვიცავს, სხვილოს ციხეც მეციხოვნედ შერჩა... საქართველო დარდით გაიცრცია და ცის ნამი ენატრება ბეჩავს.


მილოცვა

გაზეთ „კავკასიის“ რედაქცია ვულოცავთ დაბადების დღეს – 8 თებერვალს რედაქტორს ლაშა-გიორგი პრავეიშვილს. ვუსურვებთ ბედნიერებას და წარმატებებს.



საჯარო რეესტრის ავტორიზებული მომხმარებელი შ.პ.ს. „გეომატრიქს-ჯავახიშვილი“

- სახლის, ნაკვეთის აზომვა, საკადასტრო ნახაზის მომზადება
- უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მიუსვლელად
- ამონაწერის და საკადასტრო გეგმის გაცემა ქ. თელავი, ქეთევან წამებულის 1; (ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა, I სართული, მაღაზია „ლიმბოს“ ზემოთ) ტ: 3-57-13; 899-50-96-83; 895-43-22-64; 899-15-08-95



ცოტნე და ნიკოლოზ დუდაურები, დუშეთი

ბარბარე ბუთხუცია, თბილისი

	<p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი მთავარი რედაქტორი იზა ჯაჭვამი</p>	<p>რედაქტორი ლაშა-გიორგი პრავეიშვილი რედაქტორის მოადგილე ლიანა გიბიაძე</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიგლაური, კობა ბუტყური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუელაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩვიაშვილი, მარინე თეთქუშანიძე, ლეილა არაბული, მზია ხეთაგური, ლამარა გიორგაშვილი, ომარ მარუტაშვილი, ნონა სუჯაშვილი.</p> <p>ბაზითი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამაყნ კასუს. მასალაში შეტანილი ფაქტების სისწორეში, ავტორთა მონაწილეობაში უზრუნველყოფა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. ბაზითიდან მასალის გასაგებება რედაქციისთან უშუალოდ უნდა მოხდეს.</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელ: 52-16-38 899-79-76-13</p>
--	--	--	--	---